



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კანდელაკი თეიმურაზ შალვას ძე



თ. კანდელაკი

კანდელაკი თეიმურაზ შალვას ძე (25. II. 1928, თბილისი, – 21. XII. 2003, იქვე), არქიტექტორი. არქიტექტურის კანდიდატი (1967). საქართველოს დამს. არქიტექტორი (1967). დაამთავრა თბილ. სახელმწ. სამხატვრო აკადემია (1952). სხვადასხვა დროს მუშაობდა "თბილქალაქპროექტში", "საქქალაქმშენსახპროექტში", "სოიუზგიპროტორგში" (მოსკოვი). იყო საქართვე. კულტურის სამინისტროს სახვ. ხელოვნ. და ძეგლთა დაცვის სამმართველოს უფროსი (1964–73). 1959-იდან პედ. მოღვაწეობას ეწეოდა სპი-ში (1991- იდან სტუ), ხოლო 1985–2003 – თბილ. სამხატვრო აკადემიაში (დოცენტი 1974-იდან). ნამუშევრები: განთიადის ბაზილიკის (VI ს.) რესტავრაციის პროექტი (გაგრის მუნიციპალიტეტი; 1952, არქიტ. დ. მორბედაძესთან ერთად), საცხოვრ. სახლები თბილისში: დავითაშვილის (ახლანდ.

ამაღლების ქ., №35, 1955), მცხეთის ქ., №2 (1962, არქიტ. რ. ბაირამაშვილთან და არქიტ. დ. მორბედაძესთან ერთად), ცაგერის ქ., №4 (1973), ვახტანგ გორგასლის ძეგლი თბილისში (1967, მოქანდაკე ე. ამაშუკელთან და არქიტ. დ. მორბედაძესთან ერთად), ერეკლე II-ის ძეგლი თელავში (1971, მოქანდაკე მ. მერაბიშვილი) და სხვ. გამოქვეყნებული აქვს სამეცნ. შრომები. მონაწილეობას ღებულობდა ქართ. ხუროთმოძღვრული ძეგლების აღმშენებლობაში – ანყურის ციხე (1949), რუისისა (1951) და ბაგრატიის ტაძრები (1953–54) და სხვ.

ლიტ.: ნ ა ხ უ ც რ ი შ ვ ი ლ ი კ., თეიმურაზ კანდელაკი. არქიტექტორი, თბ., 2003.



თ. კანდელაკი.
საცხოვრებელი სახლი.
1955. თბილისი.

თ. გერსამია
